

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 იანვრის №01-06/01
მორიგი სხდომის დღის-წესრიგის პროექტი

1. „ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ამირან დევამე

2. ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ გრანტის მიღების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს აპარატის უფროსი მუხრან სალაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ამირან დევამე

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა
2021 წლის -- იანვარი
დაბა ქედა

„ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 103-ე, 106¹-ე და 106⁵-ე მუხლების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე.

2. განსახილველ საკითხთან მიმართებაში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ამირან დევაძე).

3. განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვროს 2021 წლის -- თებერვალი.

4. ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განისაზღვროს 2021 წლის -- თებერვალი.

5. წინამდებარე განკარგულება წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი არ ექვემდებარება ცალკე გასაჩივრებას.

6. წინამდებარე განკარგულება საჯაროდ გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.keda.gov.ge).

7. განკარგულების ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

8. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ც ნ ო ბ ა

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (მის. დაბა ქედა მერაბ კოსტავას ქუჩა №3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული) მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე.

საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ამირან დევაძე). (მის: დაბა ქედა მ.კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული);

დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენა შეუძლიათ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 2021 წლის -- თებერვალს დღის 18:00 საათამდე სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში.

განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომა შედგება 2021 წლის -- თებერვალს დღის 16:00 საათზე. (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული; სააქტო დარბაზი).

„ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განსაზღვრულია 2021 წლის -- თებერვალი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №--

**2021 წლის -- იანვარი
დაბა ქედა**

ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-4 მუხლის მე-13 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის დებულება თანახმად დანართისა.

მუხლი 2.

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 1 სექტემბრის №23 დადგენილება (ვებგვერდი www.matsne.gov.ge 08/09/2014; სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.134.016142).

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

შუქრი თურმანიძე

ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს დებულება ადგენს ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის (შემდგომში - ვებგვერდი) შევსების, ორგანიზებისა და გამოყენების სამართლებრივ საფუძვლებს.

2. ვებგვერდის დანიშნულებაა:

ა) ქედის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობის, მუნიციპალიტეტის პერსპექტიული განვითარების, თვითმმართველობის ორგანოების, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების საქმიანობის შესახებ ოფიციალური ინფორმაციის მიწოდება მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის და ყველა დაინტერესებული პირისა თუ ორგანიზაციისათვის;

ბ) ქედის მუნიციპალიტეტის მუდმივი კავშირის უზრუნველყოფა თვითმმართველი ერთეულის მოსახლეობასთან, დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან და საწარმოებთან; საშუალება მისცეს მოსახლეობას და იურიდიულ პირებს შეუფერხებლად მიმართონ და მიაწოდონ წინადადებები მუნიციპალიტეტის ორგანოებს და თანამდებობის პირებს მუნიციპალიტეტში არსებული მიმდინარე პრობლემების და მისაღებ გადაწყვეტილებათა პროექტების შესახებ; თვითმმართველობის ორგანოების მიერ გადაწყვეტილების მიღებაში საზოგადოების ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინება.

3. ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის მისამართია: www.keda.gov.ge.

მუხლი 2. ვებგვერდის ადმინისტრირება

1. ვებგვერდის ადმინისტრირებას ახორციელებს მერიის ადმინისტრაციული სამსახური.

2. ვებგვერდის ადმინისტრირება მოიცავს:

ა) ვებგვერდის დიზაინის მომზადებას და მასში ცვლილებების შეტანას;

ბ) ვებგვერდის ფუნქციონირების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფას;

გ) ინფორმაციის განთავსებას;

დ) ვებგვერდზე შემოსული წინადადებების და წერილების სისტემატიზაციას და გადაცემას მერისათვის;

ე) ვებგვერდის ფუნქციონირების პროგრამულ უზრუნველყოფას, მათ შორის, ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის დაცვას არასანქცირებული ჩარევისაგან, ინფორმაციის შეცვლის, გაყალბების, დამახინჯების, წაშლის და დაბლოკვისაგან.

მუხლი 3. ინფორმაციის წყაროები, კატეგორიები და სტატუსი

1. ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია არის ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრება. იგი საჯარო და უსასყიდლოა.

2. ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაციას შეიძლება ჰქონდეს ოფიციალური (შესაბამისი მითითებით) ან არაოფიციალური სტატუსი.

3. ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის გამოყენება თავისუფალია. საინფორმაციო საშუალებებს უფლება აქვთ გამოიყენონ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია ვებგვერდის მისამართის სავალდებულო მითითებით.

4. ვებგვერდის შევსების წყაროებია:

ა) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები;

ბ) ქედის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირები;

გ) ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო დაწესებულებები;

დ) მასობრივი საინფორმაციო საშუალებები და ინტერნეტ-რესურსები;

ე) საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციები;

ვ) ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები.

5. ვებგვერდის ინფორმაცია განახლების მიხედვით იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

ა) მუდმივად განახლებადი;

ბ) ყოველკვირეული;

გ) ყოველთვიური.

მუხლი 4. ვებგვერდზე ინფორმაციის გამოქვეყნება

1. მერიის სტრუქტურული ერთეულები უზრუნველყოფენ ქედის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო დაწესებულებების, მასობრივი საინფორმაციო საშუალებების და ინტერნეტრესურსების, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების შესახებ ინფორმაციის მოპოვებასა და მერიის ადმინისტრაციული სამსახურისთვის მიწოდებას მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე განსათავსებლად.

2. ინფორმაციის მიწოდების დროულობასა და უტყუარობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მიმწოდებელი, ხოლო ვებგვერდზე დროულ, შესაბამის განყოფილებაში (ქვეგანყოფილებაში) განთავსებასა და მიწოდებული ინფორმაციის რედაქტირებაზე მერიის ადმინისტრაციული სამსახური.

3. ინფორმაციის მიწოდების ვადებია:

ა) მუდმივად განახლებადის – ყოველი დღის 12.00 სთ.

ბ) ყოველკვირეულის – ყოველი სამშაბათის 12.00 სთ.

გ) ყოველთვიურის – ყოველი თვის 15 რიცხვის 12.00 სთ.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული წყაროების გარდა სხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციის განთავსება ვებგვერდზე ხორციელდება მერის გადაწყვეტილების შესაბამისად.

მუხლი 5. ვებგვერდის ძირითადი სტრუქტურა

1. ვებგვერდის სტრუქტურის ძირითადი განყოფილებებია:

ა) მთავარი;

ბ) ქედის შესახებ;

გ) საკრებულო;

დ) მერია;

- ე) გენდერული თანასწორობის საბჭო;
- ვ) სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო;
- ზ) მონაწილეობითი ბიუჯეტი;
- თ) საჯარო ინფორმაცია;
- ი) პროგრამები/პროექტები;
- კ) აუქციონები/ტენდერები;
- ლ) მემორანდუმები;
- მ) სოფლის განვითარება;
- ნ) კონტაქტი.“

მუხლი 6. ვებგვერდის განყოფილებათა სტრუქტურა

1. ქედის შესახებ განყოფილება იყოფა შემდეგ ქვეგანყოფილებებად:

- ა) გეოგრაფია და ბუნება;
- ბ) სიმბოლიკა;
- გ) ტერიტორიული დაყოფა;
- დ) საპატიო ქედელები.

2. საკრებულოს შესახებ განყოფილება იყოფა შემდეგ ქვეგანყოფილებებად:

- ა) თავმჯდომარე;
- ბ) თავმჯდომარის მოადგილე;
- გ) საკრებულოს წევრები;
- დ) ფრაქციები;
- ე) კომისიები;
- ვ) აპარატი;
- ზ) სამართლებრივი აქტები.

3. მერიის შესახებ განყოფილება იყოფა შემდეგ ქვეგანყოფილებებად:

- ა) მერი;
- ბ) მერის მოადგილეები;
- გ) სამსახურები;
- დ) მერის წარმომადგენლები;
- ე) მუნიციპალური ორგანიზაციები;
- ვ) მერიის სტრუქტურა.

4. გენდერული თანასწორობის საბჭოს შესახებ განყოფილება იყოფა შემდეგ ქვეგანყოფილებებად:

- ა) საბჭოს შემადგენლობა;
- ბ) სამართლებრივი აქტები;
- გ) სიახლეები;
- დ) ანგარიშები;
- ე) სხდომის ოქმები.

5. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შესახებ განყოფილება იყოფა შემდეგ ქვეგანყოფილებებად:

- ა) საბჭოს შემადგენლობა;
- ბ) დებულება;
- გ) სიახლეები.

6. მონაწილეობითი ბიუჯეტის შესახებ განყოფილება იყოფა შემდეგ ქვეგანყოფილებებად:

- ა) პროექტის შესახებ;
- ბ) სიახლეები;
- გ) საბჭოს შემადგენლობა;
- დ) საბჭოს დებულება.

7. საჯარო ინფორმაციის შესახებ განყოფილება იყოფა შემდეგ ქვეგანყოფილებებად:

- ა) საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელი პირი;
- ბ) კანონმდებლობა;
- გ) ანგარიში;
- დ) ბიუჯეტი.

8. პროგრამებისა და პროექტების შესახებ განყოფილება იყოფა შემდეგ ქვეგანყოფილებებად:

- ა) პროგრამები;
- ბ) პროექტები.

9. აუქციონებისა და ტენდერების შესახებ განყოფილება იყოფა შემდეგ ქვეგანყოფილებებად:

- ა) აუქციონები;
- ბ) ტენდერები.

10. მემორანდუმების შესახებ განყოფილება იყოფა შემდეგ ქვეგანყოფილებებად:

- ა) საერთაშორისო;
- ბ) ურთიერთთანამშრომლობის.

11. სოფლის განვითარების შესახებ განყოფილება.

12. კონტაქტის შესახებ განყოფილება იყოფა შემდეგ ქვეგანყოფილებებად:

- ა) საკრებულო;
- ბ) მერია.

13. ტურისტულ გზამკლევში განთავსებულია შემდეგი ინფორმაცია: რა უნდა იცოდეთ (გეოგრაფია და ბუნება, ტურიზმი და მოგზაურობა, საინფორმაციო ცენტრი), სანახაობა (თაღოვანი ხიდები, ციხე-კოშკები, ღირსშესანიშნავი ადგილები), განთავსება (საოჯახო სასტუმროები, კოტეჯები) კვების ობიექტები (რესტორნები, კაფეები, სხვა), სპორტი და განათლება(სპორტი, განათლება), მედიცინა და ბანკები (სამედიცინო მომსახურება, ბანკები).

14. გვერდით სივრცეებში თავსდება ზოგადი ინფორმაცია, ფოტო გალერეა, ვიდეო გალერეა, განცხადებები, ელექტრონული პეტიცია, ამინდი, აღმოაჩინე აჭარა, სასარგებლო ბმულები და სხვა.

15. კონტაქტში თავსდება მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ელ. ფოსტის მისამართები, ტელეფონის ნომრები და სხვა საკონტაქტო მონაცემები.

16. ძირი მენიუში განთავსებულია შემდეგი ინფორმაცია: სატელეფონო ცნობარი, ტურისტული ინფო ცენტრი, ადგილობრივი პოლიცია, სახანძრო დეპარტამენტი, სასწრაფო დახმარება, მიმართე მერიას, მიმართე საკრებულოს, საიტის რუკა.

განმარტებითი ბარათი

„ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის დეზულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის მისამართის ცვლილება (მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის www.keda.gov.ge განახლებული პორტალი), შესაბამისად „ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის დეზულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღება და მისი მორგება მოთხოვნებთან შესაბამისობაში.

ა.ბ) ნორმატიული აქტის მიღების მიზანი:

ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის განახლებულ პორტალთან www.keda.gov.ge -თან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

ა.გ) ნორმატიული აქტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი დადგენილების პროექტის შესაბამისად, ვებგვერდის ძირითადი სტრუქტურა უნდა გაიწეროს ვებგვერდის განახლებული პორტალის შესაბამისად, აქედან გამომდინარე დადგენილების მე-2 მუხლი ითვალისწინებს მოქმედი „ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის დეზულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 1 სექტემბრის №23 დადგენილების (ვებგვერდი www.matsne.gov.ge 08/09/2014; სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.134.016142). ძალადაკარგულად გამოცხადების საკითხს.

ბ) ნორმატიული აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ნორმატიული აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ნორმატიული აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ნორმატიული აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ნორმატიული აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის პროექტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება ნორმატიული აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) ნორმატიული აქტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ვ) ნორმატიული აქტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი მუხრან სალაძე.

ზ) ნორმატიული აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ამირან დევაძე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №
2021 წლის -- იანვარი
დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ გრანტის მიღების
თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს მიღოს გრანტი 77 235 (სამოცდაჩვიდმეტი ათას ორას ოცდათხუთმეტი) აშშ დოლარის ოდენობით, საქართველოში იაპონიის საელჩოსგან.

2. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელს როლანდი ბერიძეს.

3. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

შუქრი თურმანიძე

განმარტებითი ბარათი

„ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს მიერ გრანტის მიღების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის (განკარგულება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ინდივიდუალური აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტებისა მოთხოვნათა შესრულება, რათა ქედის მუნიციპალიტეტმა მიიღოს გრანტი 77 235 (სამოცდაჩვიდმეტი ათას ორას ოცდათხუთმეტი) აშშ დოლარის ოდენობით, საქართველოში იაპონიის საელჩოსგან, ხოლო ამისათვის აუცილებელია ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინასწარი თანხმობა, ამის შემდგომ ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო შესაბამისი შუამდგომლობით, სამართლებრივი აქტის - საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტით და თანდართული საქმის მასალებით მიმართავს საქართველოს რეგიონული და ინფრასტრუქტურის განვითარების სამინისტროს, რათა განხორციელდეს გრანტის მიღების თაობაზე საქართველოს მთავრობისაგან ნებართვის მიღება.

ა.ბ) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია საქართველოში იაპონიის საელჩოსგან, ქედის მუნიციპალიტეტის მიერ გრანტის 77 235 (სამოცდაჩვიდმეტი ათას ორას ოცდათხუთმეტი) აშშ დოლარის ოდენობით მიღება და საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება.

ა.გ) ინდივიდუალური აქტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის ძირითად არ წარმოადგენს, საკრებულოს წინასწარი თანხმობით და საქართველოს მთავრობის ნებართვით მიიღოს გრანტი. გრანტის მიღების შემდეგ მხარეებს შორის დაიდება საგრანტო ხელშეკრულება, რომლის საგანს წარმოადგენს ახალი მუნიციპალური სერვისი დაბა ქედისათვის საზოგადოებრივი ეკო-ავტობუსის შექმნა, რომლითაც მოხდება დაბის ტერიტორიაზე ინკლუზიური ელექტრო მობილობის სერვისის შექმნა.

ბ) ინდივიდუალური აქტის პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ინდივიდუალური აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ინდივიდუალური აქტის მიღება გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე გაზრდის თვალსაზრისით.

ბ.გ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ინდივიდუალური აქტის პროექტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) ინდივიდუალური აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ინდივიდუალური აქტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ინდივიდუალური აქტის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) ინდივიდუალური აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ინდივიდუალური აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) ინდივიდუალური აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება ინდივიდუალური აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ინდივიდუალური აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) ინდივიდუალური აქტის პროექტის ავტორი და წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ვ) ინდივიდუალური აქტის პროექტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი სუფროსი მუხრან სალაძე

ზ) ინდივიდუალური აქტის პროექტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.

DRAFT DRAFT DRAFT DRAFT DRAFT DRAFT

**GRANT CONTRACT
BETWEEN
THE EMBASSY OF JAPAN IN GEORGIA
AND
KEDA MUNICIPALITY
FOR
THE PROJECT FOR PROVISION OF COMMUNITY ECO BUS IN KEDA MUNICIPALITY**

With a view to contributing to the execution of the project by Keda Municipality (hereinafter referred to as "the Recipient"), entitled the Project for Provision of Community Eco Bus in Keda Municipality (hereinafter referred to as "the Project"), the Embassy of Japan in Georgia (hereinafter referred to as "the Donor") will make available to the Recipient a grant up to Seventy seven thousand two hundred and thirty five US dollars (USD 77,235) or its local currency equivalent as of the date of the disbursement (details attached) by March 31, 2021.

In accepting the said grant from the Donor, the Recipient agrees:

- A** to provide the Donor with an official receipt for the grant received;
- B** to provide the Donor with documents relevant to the Project such as procurement contracts for products and/or services upon request by the Donor;
- C** to use the grant properly and exclusively for the purchase of such products and/or services necessary for the execution of the Project as enumerated in the Annex of this contract and not to use those products and/or services purchased with the grant for purposes other than the execution of the Project, without acquiring any prior written approval from the Donor;
- D** to provide the Donor with the following reports on the progress of the Project:
 - (1) one (1) interim report to be provided within six months after the contract date
 - (2) one (1) project completion report (including an audit report on the grant issued by an independent accountant/accounting body) to be provided upon the completion of the Project (The above reports should outline achieved results in the light of the original goals and objectives as stated in the application proposal for the Project. The reports should include a clear accounting report of the allocation and disbursement of the grant.)
 - (3) any other reports on the Project to be provided upon request of the Donor, in accordance with the Donor's instructions;
- E** to complete the Project within one year after the contract date;
- F** to consult with and receive instructions from the Donor in case the Recipient wishes:
 - (1) to change how the grant is spent from the original plan in the application
 - (2) to change the contents of the Project
 - (3) to suspend and/or terminate execution of the Project
 - (4) to extend the completion date of the Project;
- G** to keep accounting documents that verify how the grant was spent for at least five years after the completion of the Project;

- H to bear all responsibilities for deaths, injuries, diseases, and any other damages to the members of the Recipient in the course of the execution of the Project, and that the Donor will not be responsible for anything that happens during the execution of the Project;
- I to consult with the Donor promptly on all matters which may have any influence on the execution of the Project;
- J to recognize that the Donor reserves the right to claim a refund of a portion or the whole of the grant if:
- (1) a part or the whole of the grant remains unused when the execution of the Project is suspended or terminated;
 - (2) the Recipient breaches this contract; and
- K that this contract shall be governed by and construed and interpreted in accordance with the laws agreed to by the Donor and the Recipient.

The terms and conditions hereby stipulated are accepted by:

The Donor: **The Embassy of Japan in Georgia**
Name:
Title: Ambassador Extraordinary and Plenipotentiary of Japan to Georgia

Signature: _____
Date: 日付未記入 (1 ページ目要約表内に日付を記入)

The Recipient: **Keda Municipality**
Name: Levan Gorgiladze
Title: Mayor

Signature: _____
Date: 日付未記入 (1 ページ目要約表内に日付を記入)

DRAFT DRAFT DRAFT DRAFT DRAFT DRAFT

Annex

Name of the Project: The Project for Provision of Community Eco Bus in Keda Municipality
Name of the Donor: The Embassy of Japan in Georgia
Name of the Recipient: Keda Municipality
Signing date of the Grant Contract: 日付未記入（1 ページ目要約表内の我が方署名日に日付を記入）
Total amount of the Grant: Up to Seventy seven thousand two hundred and thirty five US dollars (USD 77,235)

In accepting the grant from the Donor, the Recipient agrees to use the grant for the purchase of the products and / or services mentioned below:

	Item	Quantity
Eco Bus		1
External Audit		1

end

საგრანტო ხელშეკრულება
საქართველოში იაპონიის საელჩოსა
და

ქედის მუნიციპალიტეტის შორის

ხელშეკრულების საგანი:

ქედის მუნიციპალიტეტისთვის საზოგადოებრივი ეკო ავტობუსის შექმნა

ქედის მუნიციპალიტეტის მიერ (შემდგომში „მიმღები“) პროექტის „ქედის მუნიციპალიტეტისთვის საზოგადოებრივი ეკო ავტობუსის შექმნა“ (შემდგომში „პროექტი“) განხორციელების ხელშესაწყობად, საქართველოში იაპონიის საელჩო (შემდგომში „დონორი“) 2020 წლის 31 მარტამდე მიმღებისთვის გასცემს გრანტს **სამოცდაჩვიდმეტი ათას ოცდათხუთმეტი (77,235) აშშ დოლარის** ოდენობით ან მის ექვივალენტს ადგილობრივ ვალუტაში გრანტის გაცემის თარიღის კურსით (დეტალები იხილეთ დანართში).

ზემოთ აღნიშნული გრანტის დონორისგან მისაღებად, მიმღები თანხმდება:

ა. მიაწოდოს დონორს გრანტის მიღების დამადასტურებელი ოფიციალური მოწმობა;

ბ. დონორის მოთხოვნისამებრ, მიაწოდოს დონორს პროექტის შესაბამისი ისეთი დოკუმენტები, როგორებიცაა საქონლისა და მომსახურების შესყიდვების კონტრაქტები;

გ. გამოიყენოს გრანტი ექსკლუზიურად პროექტის განხორციელებისთვის საჭირო და შესაბამისი პროდუქტებისა და მომსახურების შესაძენად ისე, როგორც ეს აღწერილია ამ კონტრაქტის დანართში; დონორისგან თანხმობის მიღების გარეშე, არ გამოიყენოს შექმნილი პროდუქტები ან სერვისები სხვა მიზნებისთვის გარდა პროექტის განხორციელებისა;

დ. მიაწოდოს დონორს პროექტის მიმდინარეობის შესახებ შემდეგი ანგარიშები:

(1) ერთი (1) შუალედური ანგარიში ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან ექვს თვეში;

(2) ერთი (1) პროექტის დასრულების ანგარიში (მათ შორის, დამოუკიდებელი აუდიტის/აუდიტორული კომპანიის აუდიტის ანგარიში) პროექტის დასრულების შემდეგ (ანგარიშში აღწერილი უნდა იყოს მიღწეული შედეგები პროექტით გათვალისწინებულ მიზნებთან მიმართებაში. ანგარიშები უნდა მოიცავდეს გრანტის ათვისებისა და განკარგვის მკაფიო ფინანსური აღრიცვის ანგარიშს);

(3) დონორის მოთხოვნისამებრ და დონორის მითითებებით, სხვა ნებისმიერი სახის პროექტთან დაკავშირებული ანგარიში;

ე. დაასრულოს პროექტი ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი წლის ვადაში;
ვ. გაიაროს კონსულტაციები და იმოქმედოს დონორის ინსტრუქციების თანახმად იმ შემთხვევაში, როცა მიმღებს სურს:

- (1) შეცვალოს აპლიკაციაში გაწერილი გრანტის განკარგვის პირობები
- (2) შეცვალოს პროექტის შინაარსი
- (3) შეწყვიტოს პროექტის განხორციელება
- (4) გადაავადოს პროექტის დასრულების თარიღი.

ზ. შეინახოს გრანტის განკარგვის დამადასტურებელი ფინანსური აღრიცხვის დოკუმენტაცია პროექტის დასრულებიდან არანაკლებ 5 წლის განმავლობაში;

თ. გაიაროს კონსულტაციები დონორთან ყველა იმ საკითხზე, რომელიც გავლენას ახდეს პროექტის განხორციელებაზე;

ი. გაითვალისწინოს, რომ დონორი უფლებას იტოვებს, მოითხოვოს გრანტის ნაწილობრივი ან სრული დაბრუნება იმ შემთხვევაში, თუ:

- (1) გრანტის სრული ან ნაწილი თანხა აუთვისებელია პროექტის შეწყვეტისას;
- (2) მიმღები არღვევს ხელშეკრულების პირობებს;

კ. პროექტი ექვემდებარება დონორისა და მიმღების მიერ შეთანხმებით განსაზღვრულ კანონმდებლობით მართვას და ინტერპრეტაციას.

ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს ეთანხმება:

დონორი: საქართველოში იაპონიის საელჩო
სახელი: იმამურა აკირა
ტიტული: იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში

ხელმოწერა: _____
თარიღი:

გრანტის მიმღები : ქედის მუნიციპალიტეტი
სახელი: ლევან გორგილაძე
ტიტული: ქედის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერა: _____
თარიღი:

დანართი

პროექტის სახელმწოდება: ქედის მუნიციპალიტეტისთვის საზოგადოებრივი ეკო-ავტობუსის შექმნა

დონორი: საქართველოში იაპონიის საელჩო

მიმღები: ქედის მუნიციპალიტეტი

საგრანტო ხელშეკრულების

ხელმოწერის თარიღი:

გრანტის სრული თანხა: სამოცდაჩვიდმეტი ათას ორას ოცდათხუთმეტი (77,235) აშშ დოლარამდე

დონორის მიერ გაცემული გრანტის მიღებით, მიმღები თანხმდება, რომ გრანტს გამოიყენებს ქვემოთ მოცემული პროდუქტების და/ან მომსახურების შესაძენად:

პროდუქტი/მომსახურება	რაოდენობა
ეკო-ავტობუსი	1
გარე აუდიტი	1
	დასასრული